# მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 28

გამოვა დრო-გამოშვებით. წერილები და ფული გამოიგზავნება: Тифлисъ. Типографія Шрома, Теофилу Болквадзе.



12-3 / 1914

№28, 29, 30 = 31 = 3026


# ომის ამბები

## გერმანია და ოსმალეთი

**გერმანელები.**

წამოდით ჩვენთან ოსმალებო!
დავიწყოთ ომი;
შევმუსროთ მტერი,
გავახაროთ კეთილის მდომი.

**ოსმალები.**

რა გინდათ ჩვენგან ვერაგებო,
გაგვიშვი ხელი!
ალლაჰმა მოსპოს თქვენი გვარი,
თქვენი სახელი.

## ბერმანია და ოსმალეთი.

(მიწერ-მოწერა):

**ბერმანიამ** უთხრა თათარს:
-ყური მიგდე ალიაო!
ჩემი აგრე დასუსტება
ყველა შენი ბრალიაო.
სურსათით გამოგიტენე
ბეღელი და ნალიაო,
სომარი იარაღიც
მოგეცი დიდ-ძალიაო.
ორი გემი გიწყალობე
(ორივე ახალიაო),
რომელსაც რომ მაგ მხარეში
ალარც კი ჰყავს ცალიაო!
როცა წელი გაიმაგრე
და მოგეცა ძალიაო,
ეხლა ომი ალარ გინდა
სამასხაროთ გცალიაო?!
შენი სისხლი—ჯოჯოხეთის
ტარტაროზმა ძალიაო,
გასაჭირში რომ არ მშველი
განა სამართალიაო?!.

—

**ოსმალეთმა** უპასუხა:
მეგობარო ვილგემოვო!
მეშინია—ვაი თუ რომ
გასაჭირი ვიგემოვო.
შენ ქონებით მდიდარი ხარ
მხედრობაც გყავს ქებულიო,
მე კი – ბუდამ მშიერი და
მუდამ დამარცხებულიო.
ალარ მინდა კიდევ გავხდე
დიდი მსხვერპლის მნახველიო,
ჯარი ჩემი დაიხოცოს
და შენ დაგრჩეს სახელიო?!
არა, მაგას ვერ ვიკისრებთ
სურვილით და ნებითაო.
(მე ბომ შენებრ არ ვამაყობ
დიდი ზარბაზნებითაო?!)
თუმცა ძალზე მდიდარი ვარ
შენი აფიცრებითაო,
მათი კანონ-წესებითა
და მათი დავთრებითაო,
მაგრამ ომში საბრძოლველათ
საჭიროა სალდათიო,
(სხვისი რჩევით არ დავდივართ
ჩვენ ისე გვაქვს ადათიო).
თუ რომ მაინც გამოგვიყვანთ
ძალათ საბრძოლველათაო,
მაინც ისე დავმარცხდებით
როგორც მუდამ ძველათაო.
ჩვენი ჯარი რუსის ჯარიანი
გიმარჯვებს ძნელათაო.
(მხოლოთ ისე გამოვდგებით
საზღვრის დასაცველათაო).

**ოხუნჯი.**

## მკითხველებს.

დღევანდელმა ომმა მთელი ქვეყნიერობა ააფორიაქა და სხვათა შორის ჩვენს ჟურნალზედაც მოახდინა თავისი გავლენა: თანამშრომლები და მკითხველები ბრძოლის ველზე წავიდნენ, გამომცემელს ქანქარი შემოელია, რედაქტორი შიშისაგან დამუნჯდა, ქაღალდ-მელანი გაძვირდა და ვაი-ვაგლახით რაც დავბეჭდეთ ბოლო ხანებში—ის კიდენ ჩვენმა აგენტებმა მიითვისეს, ანგარიშს ალარ ასწორებენ—ომიაო. დასწყევლოს ღმერთმა, ეს რა ხანა დაგვიდგა. თავდაღმა დასაკიდია ვილჰგმია თუ ვიღაც მგელია, რომ ასე აურია ქვეყნიერობას თავი და ბოლო. ჩვენ გვეგონა (და სხვებიც ასე ჰფიქრობდა) ეს საშინელი სისხლის ღვრა მალე გათავდებოდა და ჩვენს ჟურნალსაც დაუდგებოდა თავისი სიცილის ხანა, მაგრამ მოვსტყუდით და როგორც სჩანს ომს ბოლო არ უჩანს ამიტომ გადავსწყვიდეთ—დრო-გამოშვებით მაინც გამოვეხმაუროთ ჩვენს მკითხველებს და თანამშრომლებსაც მოუწოდოთ ჩვენსკენ. დეე გაიგონ მტრებმა – ჩვენც ბრძოლის ველზედ ვართ გამოსული და იარაღიც ხელში გვიჭირავს.

**მათრახოსანი.**

## ღამეა, ბნელა...

მზე ჩაიწურა, დაღამდა, ბნელა,
ცა ოთხივ-კუთხივ გრგვინავს—გრიალებს
ლომი ლომს ეცა, არწივი არწივს—
შავი ყორანი ლეშს დასტრიალებს!

—

ღამეა, ბნელა, ძმა ძმას ვერა სცნობს
და ამ სიბნელით სარგებლობს მტერი,
მშობელი მიწა იძვრის—ირყევა,
დაკოდილ მებრძოლს მიხდია ფერი.

—

ღამეა, ბნელა, მთელი სამყარო
წყვდიას კალთებ ქვეშ მოუმწყვდევია,
დედა დაეძებს შვილს, რომლის აღზრდას
დღითა და ღამით გადალევია.

—

დაეძებს, მაგრამ სად ნახავს, ბნელა.
გაისმის კვნესა, ირგვლივ ყველგანა...
მთვარევ კაშკაშავ გამოჩნდი მალე,
განსაცდელისგან იხსენ ქვეყანა!..

ვ. აბრამიძე.

# გუშინ და დღეს.

გუშინ ბუნება ჰყვავოდა,
ყველგან სიმშვიდე სუფევდა:
მთით მოლიკლიკე ნაკადულს
მდელო ლურჯ ზეწარს უგებდა.
ამწვანებული კორდ-სერი
სიოს სისინით სტკბებოდა
და ვარდი ბაგე წითელი
ბულბულის ეშხით თვრებოდა.
ვაზი ყლორტ შამოჭდობილი
სიყვარულს დამონებოდა;
საავარაკოთ გასული
ტოლი ტოლს ჩაჰკონებოდა...
ყველა ხარობდა, სტკბებოდა,
ბუნების ეშხით თვრებოდა;
არავინ გრძნობდა თუ ხვალე
შავი დღე უთენდებოდა...

---

დღეს შეიცვალა ყოველი,
ელვა გამოკრთა ცაზედა;
გაისმა ჰექა-ქუხილი
გულის შემზარავ ხმაზედა.
სისხლი ჩქეფს ბრძოლის ველზედა.
ჰაერში ტყვია ზუზუნებს
და სოფლად—ობლად შიენილი
უშწეოდ მოსთქვამს, წუწუნებს.
რამ შეარყია სიმშვიდე,
რისთვის, რა მოხდა ნეტავი?
. . . . . . . .
. . . . . . . .
გუშინ ბუნება ჰყვავოდა,
სიოს სისინით სტკბებოდა;
ვინ იფიქრებდა დღეს იგი
თუ სისხლით დაითვრებოდა!?

გ. ლადოშვილი.

# ომის ამბები

**გერმანიის ტეხნიკა.—ბრძოლის ვითარება.— ოსმალეთის შიში.**

გერმანიის მთავრობას დღე და ღამ არ სძინებია და თვისი განვითარებული ტეხნიკით სულ ხალხის სამუსრავ იარაღების მზადებაში ყოფილა. მას ბევრი ისეთი საომარი იარაღი აღმოაჩნდა რაც სხვა სახელმწიფოებს სიზმრადაც არ დასიზმრებია დღემდე. მაგალითად გერმანელებმა გამოიყენეს ბრძოლის ველზე 42 სანტიმეტრიანი ზარბაზანი. ეს ზარბაზანი ოთხ ნაწილად იშლება და ისე გადააქვთ რომელიმე მაგარი ციხის ასაღებათ, სროლილობს ნიშანში 60 ფუთიან ყუმბარას 28 ვერსზე და რა სიმაგრესაც მოხვდება მტვრად აქცევს. ამას გარდა გერმანელებს ჰქონიათ ჯავშნიანი ტყვიის მფრქვეველი ავტომობილი, რომელსაც იერიშების დროს გაუშვებენ ხოლმე მოწინააღმდეგეთა ჯარში გზის ასარეკად, მას ვერ აჩერებს ვერავითარი ძალა და მუსრს ავლებს ადამიანს. აგრეთვე აქვთ ერთნაირი მანქანა, რომლის საშვალებით მტრის ბანაკს სულ ერთიანად აბნელებენ ბოლით და თითონ კი სარგებლობენ ამ შემთხვევით. მათვე ჰქონიათ ერთნაირი რეზინა ფეხზე წამოსაცმელათ მდინარეში გასვლის დროს, რომლის საშვალებით ჯარისკაცი მუხლ ზემოთ არ ჩადის წყალში და ამ რიგად თოფის სროლას არც კი შესწყვეტს ისე გადის მდინარის ნაპირზე. აქვთ ისეთი მანქანებიც, რომლის წყალობით თხრიან ორმოებს და სწრაფად აკეთებენ ბარიკადებს ჯარის სხვა-და-სხვა ადგილას გასამაგრებლად. რასაკვირველია ასეთი საიდუმლო იარაღების წყალობით ვილჰელმს გული საგულეს ჰქონია როდესაც ომს იწყებდა და გასაკვირიც არის აქნობამდე როგორ იყო მშვიდათ გაჩერებული.

* *
*

მან რაკი იპოვნა მიზეზი ომის დაწყებისა, სწრაფად, სულ სამ დღეში გამოიყვანა თავისი ლაშქარი და შეესია ბელგიასა და საფრანგეთს. ეს უკანასკნელები ვერ იყვენ სრულათ მომზადებული საომრად, რის გამო დამარცხდენ. გერმანელებმა გადალახეს ბელგია, გადავიდენ საფრანგეთში და თითქმის სატახტო ქალაქ ბარიზს მიუახლოვდენ, მაგრამ ამ დროს ფრანგებმა მოიკრიბეს ძალ-ღონე, მათ მიეშველა ინგლისისა და ბელგიის ჯარი და სასტიკი იერიში მიიტანეს გერმანელებზე, რომლებსაც უკან დაახევინეს, თითქმის საზღვრებამდე მიდენეს, მაგრამ იმას იქით კი ძრაც ვერ უყვეს ისე სასტიკად აქვთ გამაგრებული ნაპირები. პირ-იქით გერმანელებმა ამ ბოლო დროს აიღეს თვისი მძიმე არტილერიის წყალობით ბელგიის უკანასკნელი, მეტად საშინლად გამაგრებული ქალაქი ანტვერპენი, საფრანგეთისაკენ მიიწევენ და პარიზს ემუქრებიან.

გერმანიამ თავისი სწრაფი მატარებლულის წყალობით რუსეთის საზღვრებზედაც მოაზღვავა ურიცხვი ჯარი. თავის ტერიტორიაზე კენიგსბერგთან გადასულ რუსის ორ კორპუსს თავს დაესხა და

განადგურა, ხოლო როდესაც რუსეთის ტერიტორიაზე გადავიდა, რუსებმა მძლავრათ შემოუტიეს და უკან დაახევინეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით გერმანიას თავისი ტერიტორია მაინც შერჩენილი აქვს თუ მხედველობაში არ მივიღებთ იაპონიის მიერ წართმეულ კუნძულებს.

სამაგიეროთ მისი მოკავშირე ავსტრია სასტიკად დაამარცხა რუსებმა, ბევრი ქალაქები და სოფლები წაართვეს, ბევრი ტყვედ შეიპყრეს და სურსათ-იარაღი იგდეს ხელთ.

ბოლო ხანებში გერმანიამ ავსტრიასაც მიაშველა თავისი ჯარი რომლებმაც მკაცრად გაამაგრეს მომავალი ბრძოლის ასპარეზი—კრაკოვი, თითქმის 20 კორპუსს მოუყარეს თავი ამ ადგილას და სიფრხილით მიიწევენ რუსის ჯარისაკენ.

გერმანიამ ერთბაშად გამოიყვანა თითქმის 4 მილიონამდე ჯარი და ერთ-და იმავე დროს ეომება: ერთის მხრით—საფრანგეთ-ინგლის-ბელგიას, მეორე მხრით—რუსეთს, მესამე მხრით იაპონიას და მიუხედავათ ამ ძლიერ სახელმწიფოებთან სასტიკი შეტაკებებისა ის ოსმალეთსაც უგზავნის: საომარ იარაღს, ჯარს, აფიცრებს, სურსათს და თავის საუკეთესო გემებსაც, რომ ამით ოსმალეთს მისცეს საშვალება ომის დაწყებისა და მით რუსეთის ძალა შეასუსტოს.

*
* *

ოსმალეთში თითქმის ომის დაწყებისათანავე შეუდგა მობილიზაციას, ყოველ დღე ემზადება საომრათ, ჯარი გამოყვანილი ჰყავს საზღვრებზე და ფლოტი გამზადებული სდგას შავს ზღვაში, მაგრამ ომს მაინც ვერ იწყებს და ყოყმანობს. ამის მიზეზი ის არის, რომ ოსმალეთი მეტად გულგატეხილია მრავალხელ დამარცხებით და არა აქვთ იმედი ბრძოლის მოგებისა, თუმცა მათ გერმანია ყოველგვარ გარანტიას აძლევს, მაინც შიშობენ და უცდიან რა ბედი ეწვევა გერმანიას ბრძოლის ველზე. ოსმალეთის ჯარში აფიცრები გერმანელები არიან და ფლოტი სულ გერმანელების ხელშია. გერმანია რომ დამარცხდეს, ადვილი შესაძლებელია ოსმალეთში გაბატონებულ გერმანელებმა არ შეარჩინოს ოსმალეთს თავლინობა, თითონ დაუწყონ ომი და თავის ნაჩუქარ გემებით „ბრესლაუ"-„გებენით" ყუმბარები დაუშირონ სტამბოლს.

ვნახოთ რას გვიქადის მომავალი.

თ. ბ.

# ბრძოლის ველზე...

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა მოციმციმე განთიადისთვის,—
მზის ამოსვლისთვის იწმინდებოდა;
ველოდებოდი... მრწამდა... მეგონა
დღე ღამის მზგავსი გათენდებოდა;

მაგრამ მოვსტყუვდი... შურის ძიების
სითგანაც გესლი გადმოენთხია
და უგუნრობის მახვილს იარაღს
ვიღაც მხეცურად კიდევ ემთხვია...

ვხედავ განთიადს, იმავე ცასა
შავი ღრუბელი გადართხმევია;
კეთილისათვის ბოროტებასა
სიმშვიდის გრძნობა წაურთმევია;

ვხედავ ღრუბელი, შავი აჩრდილი,
ქვეყანას თავზე წამოსდგომია
და მისი ჩანთქმა, მოულოდნელად,
თვის ჟინებურად, მოუნდომია;

დამწუხრებულა ძირს დედა-მიწა,
მაღლა ბრჭყვიალა თვით მნათი მზეცა;
სრულ საიდუმლოს დაუფარია
მთელი სამყარო, ციმციმა ზეცა...

და ამ შეუცნობ ჟამსა თუ დროსა
ველარ გაუგე რეული გზები;
ერთს-ღა ვკითხულობ: ჩემსა განთიადს
ნეტავი კიდევ, კიდევ შევხვდები!?!

მიხ. ნინოწმინდელი.

# გურული სცენა

### ჩხუბი.

გამოცხადდა ჩხუბი: გეისმა ევროპიაში ზარბაზნების ბრიგინ-ბრიგინი, შეიქნა ხემწიფეების ასვარია-დასვარია... ქე დავჭირდით ჩვენც, გააკრეს განცხადება: კანცელარიაზე, საყდარზე, კლასზე და ყველგან სადაც კი გეიკრებოდა—გამოით ვინც დედაბრები არ ხართო, ვისაც გული კი გაქვს საგულესო, ვინც არ ხართ კოჭლი, თვალ დაფსებული, ყურ დაფსებული, ხელებ და ფეხებ მოჩანჩქვალებული, ვისაც გიჭრის თვალს, გერჩის მუხლი და არ გიქანქალებს ხელი—გამოით ყველამ დაამტკიცეთო თქვენი ბიჭობა და ერთგულებაო...

პაწეი, სულო ცოდვილო, ცოდვა გამქლავნებული ჯობს, გურულების იმედი მაინცა და მაინც არც კი ქონდენ, თურმე კარგად ჯერ კიდევ ვერ

იცნობდენ გურულებს. მარა გეგეს თუ არა გურულებმა ჩხუბიაო, ყეი მასო დეიძახეს, ახლა გამოჩნდება ჩვენი ბიჭობაო, ახლა დავამტკიცოთ, რომ შინაურთანაც ვიცით ჩხუბი და გარეულთანაც, მარჯვნითაც ვიცით სროლა და მარცხნითაცო, შინაურ მტერსაც ვიცნობთ და გარეულსაცო, ბევრი ლაპარაკი და ჩიჩინი აღარ დაგვჭირებია, დივემშვიდობეთ ქალ და ბალანას, დედას და მამას—თუ გვნახავთ ცოცხალს ქე გვნახავთ გულზე ჯვარ-მენდლით ჩარიჩხინებულს და თუ მოვკტით ვიცით არ გიამებიან, მარა რა უყოთ მერე, კაცი ჩხუბში კი არა კერიეს ძირშიც კი კტებაო.

შექნეს ქალებმა ტირილი, ბალნებმა ზლაპინი მარა ჩვენ ვითამც არც გაგვიგონია, ამოვკიდეთ ორახელაი, შემოვძახეთ რაშორერაი და ვისაც გვიწევდა თუ არ გვიწევდა ყველაყაი ჩევედით ბათომში კამენდანტთან, მივედით სიმღერით მხიარულათ, არ ელოდა, გუუკვირდა, იამა, გაგვიცინა, მალადეც გურინცკი ნაროდო კვითხა—რადი სტარატსია მოვახსენეთ, გაგვიშვი ვინაა იგი თავ-აგდებული ლემენცი ჩვენს ქვეყანაში რომ არ გვაყენებს, გაგვიშვი შევასკტებით ალდგომის კვერცხსავით, გარეულ მტერთან გიჩვენებთ რავაი ბიჭებიც ვართო. . . .

— ხოროშო, ხოროშოო!!. გვითხრეს... ჩვენც მივალთ ახლა და ,,მშვიდობით მამულო და ვენახო“. უწინ ახალ გაყვანილი სალდათი მღეროდა: „სამ წელიწადს ვერ გნახოო“, ახლა დროი და ბორჯი შეიცვალა და იქნებ ჩემო მამულ-დედულო, ჩემო ბალო ბაღჩავ, ყანავ და ვენახო, ჩემო ქალო და ბალანავ, ჩემო ნენავ და ბაბავ, მტერო და მოყვარევ, იქნება სულაც ვერ გნახო, მარა იცოდეთ ტყულათაი თავს არე კაცს შევაკლავ კარგათ ვიცი, რომ ამ გარეულ ჩხუბს შინაური მშვიდობა მოყობა და საბოლოო გამარჯვება ჩვენი იქნება.

**პიტნა.**

---

# მითხარ ზენავ.

მითხარ ზენავ, ეს ქვეყანა
რისთვის ეგრე ორპოფია!
ზოგს თავს ადგა ეკალ-ნარი,
ზოგს შუბლს უმკობს ტურფა ია!!.

—

ცა კაშკაშებს, ცა ელვარებს,
მიმოსცურავს ვარსკლავთ გუნდი.
ძირს ქვეყანა მწარედ სტირის,
ხელფეხს ადევს მძიმე ხუნდი.

ცა ციმციმებს, ცა ბრწყინვალებს,
დანავარდობს ბადრი მთვარე,
ძირს ქვეყანა კვალად სტირის,
ცრემლით ირწყვის არე-მარე.

ცა ირთვება, სალამს უძღვნის,
მზეს ბრწყინვალეს, მოეფერების,
ძირს ქვეყანა მარად სტირის
ებარება ცივ სამარეს.

ცას ფერხული, ძირს სამარე.
იქ ზეიმი, აქ წამება,
ქვეყნად გლოვა, კბილთა ღრჭენა,
ზეცას ლხინი, ნეტარება!

—

მითხარ ზენავ, ეს ქვეყანა
რისთვის ეგრე ორპოფია!
ზოგს თავს ადგა ეკალ-ნარი,
ზოგს შუბლს უმკობს ტურფა ია!!.

**გოგია.**

---

# მე შენი ვარ, შენ ჩემი ხარ.

(კუპლეტები)

სევდისაგან შეპყრობილი
მუდამ მოწყენილი ვზივარ,
არც თეატრში, არც ბაღებში
გასართობათ არ დავდივარ!
შენი სახე არ მასვენებს—
გონებიდან გამოვდივარ,
მაგრამ ცხადათ კი ვერ გეტყვი:—
„შენ ჩემი ხარ, მე შენი ვარ“.

—

რათ მინდა რომ ლამაზი ხარ,
მუდამ რომ ჩემს გულში ზიხარ,
რომ ბუნებას ეგრე მკვირცხლი,
მომხიბლავი გაუზდიხარ?!
რომ შენს მიერ დამწვარს გულზე
თუ მალამოთ არ მარგიხარ
და ვერ გეტყვი გაბედულათ:
„მე შენი ვარ, შენ ჩემი ხარ“.

**დარდიანიძე.**

---

# იორდანას დარდი.

(გურული სცენები)

ვაი რა გვეშველება, ჩვენდა წროულს არც ყანაა, არც ბაღჩა, არც შეშა, არც წნელი, არც ნდობა და არც ფული; ამას კაბა, იმას პერანგი, ხუცესს დრამა, კანცელარიას რასხოდი, ბაჟები და შტრაფები. ვგნესოდი, მოვსთქვამდი; თურმე მოიცადე ცოტა, ერთი გიბრძანონ—„ნაპლეჩო“ და გასწორდება ყველაფერი.

გევიხედე ჩემი ბატონი შენ ხარ და ვიშოვე ვითომ კვირეს დრო, გევიწოდინე გადავტრიალდი და ამუუშვი საბატონო ხრუტი.

ქალმა გამოუცხადა ბაღნებს ოენი პოლოტენია: ფეხი გაჩერეთ არ გაღვიძოთ მამთქვენი თვარა ვაენი ზაკონით გაგასამართლებთო.

— ეი ორდანავ ქვეყანა იქცევა და შენ გძინავს? ამ წუთში წამოხტი ზედო,—შამომაყვარა ნაცვალმა, წამოვხტი გამოვგჯი, მიწა იძრა და სახლი დამემტვრა თავზე მეთქი ვიფიქრე და მივაყვარე ნაცვალს: ბიკო როსელი ქვეყანა რას ბრანდავს მეთქი. ჩაუბია ძმაო ჩხუბი და კაცებმა უნდა მოკურცხლოთო. ვიფიქრე ნამდვილათ ახალთაობა მეიბრალა მეთქი და მივვარდი ამბიზა კანცელარიიზე. დედა თურმე რა შუაში რა კიდეში. რაცხა ცხრა მთას იქით შეფხუკუნებულა და ვინცხაიზა კვანტი გუუქნევია. იმას აგი წახმარებია, ამას იგი და ქე არ ამდგარა საერთო ბდღნი და ამიზა შაგომ ორდავ საიქიოსკენ ბერდენაითო. ვაი ბაბუავ კაცის მოკვლა კიარა და ხუთი წელიწადია ქათმისათვის კისერი არ წამიქრია მე განიკებულს. სხვისი არა ჩემი ცოლშვილი არ დამიცავს!. აგი უსამართლოებაა, სუდში ვიჩივლებ მეთქი და მოვშპი იქით. დედავ რა გახუმბრებს, სუდიას თურმე რახანია გადუუკაპიწებია, გამოწყობილია კუბოსავით სირმა ფოჩვებით, უუფლიკვინებია ცისნათელასავით ქალი და დუუკავებია საიქიოსაკენ პირი. დედავ მომივიდა გულზე და მივარდი კაპლიზა დოხტურთან, ვაი წავხთი, აგი თურმე თლა გამწარებული ყოფილა და ორი დღეია ფეხ და ფეხ მიძუნძულობს იქით თურმე. მოვტრიალდი და აწკაპული თავადები, დვარიანი, ჩინიანი, ჯვარიანი, ვაპრები და მე რავიცი ყველაყაი, ჰაიდა ჰა, მირბიან და იქახიან: გუუმარჯოს ომსო. დედავ წამხთარ საქმეზე კარგათ ყოფილა საქმე, აგენი თუ აქანაი არ მრჩება ქალების საარშიყოთ, მომჭარით კისერი, მეც ამინუტში თუ არ ვსცოცხო მეთქი. მოვარდი შინ, მივბზიალდი მოვბზიალდი, დავყარე შინ აფლიკვინებული ქალი, აზინზიღებული ბაღნები, მეკალებს უჩვენე დამეუტული-ეეშმარიტი, შეუმცხადეი გოგიას შენი ჯვარის წერა ბოსლე მეთქი და მუახტი მაშინას ზრუგზე. ჰაიდა ჰა გასწი მაშინავ, გასწი შენი გოგორებით პირდაპირ საიქიოს აგეხრიგინებიო. ჩვენი ცხოვრება კატორღა იყო და ვარესი რა დამემართება, ვაი დედასა აი გაცხელებული ვინცხას ჩავავლებ ღიქეკოში ჩემს სოკოიანს ხელებს, არ მუახმარ ეფისკოპოზის წირვას, ვინ იქნება იგი,—კორჩხლათ თუ დავბრუნდი და თქვენც შახათ დამხთით, მაშენ შეიტყობთ, თვარა და ჩემი თავი და ფეხები იგენს.

მშვიდობით გურიავ, მშვიდობით.

**შხანკოლა.**

# ლოთის სიმღერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც სახლი მაქვს, არც ბინა, (ბინა)
ვიარები ტიტლიკანა!
ირგვლივ ცეცხლი რომ მოედოს
და დაიწვას მთლათ ქვეყანა,

—

რა ზარალში ჩავარდები,
რა მაქვს, ან რა მაბადია!
თუ დაიწვა დამეწვება
დაჩინჩული ნაბადია!

—

შემიწირავს გერმანთავის,
თუ ჩვენებს დაწყდებათ გული—
ბანკებში არ დამიპირონ
ასი მილიონი ფული!

—

დალიე და დამილიე
ჯერ არაყი, მერე ლუდი,
ერთი მამა გიცხონდება
მოიხადე თავზე ქუდი:

—

ვადღეგრძელოთ ძმა-ბიქები
„სამშობლოსთვის“ სისხლს რომ ღვრიან,
თოფ-ზარბაზნით და ნაღმებით
ატეხილ მტრებს შიშს რომ გვრიან!

—

მაგამ მაინც მტკივა გული—
თვის კანში ვერ ეტევიან
და ღვთის გაჩენილ ქვეყანას
აქეთ-იქით ეწევიან!..

—

დღეს შენია, ხვალე ჩემი
სისხლი რაზე უნდა ვღვარო?
დალიე დამალევიე,
გული მეწვის მეგობარო.

—

გული მეწვის, ზოგს გონია:
ქეიფობს და დროს ატარებს!
იციან რამ გამალოთა,
რამ დამცა და რა მამწარებს?

—

არა. და მაშ არ გაქვთ ნება
შესდექით, ნუ გვძარცავ ლოთებს,
ცხოვრების საიდუმლობა
ჩვენც გვაწვალებს, ჩვენც გვაშფოთებს.

—

ასეთ ქეიფს უსურვებ მას,
ვის ხალხისთვის უნდა ავი.

არაყს ბოლმა მოერია
უნდა მივდო სადმე თავი

—

არც სახლი მაქვს, არც მამული,
ვიარები ტიტლიკანა.
დღეს აქა ვარ, ხვალე იქა—
მკბენს, მაწვალებს შავი ხანა!

ვაშა-ბაქურა.

# სცენის მოყვარენი

(ის. „მთარსი“ № 27).

## XIV

**ვასილი, დიმიტრი, ცრუაძე, ვახტანგი, მაშიკო, კოლია და იასონი.**

**იასონი.** (შეშფოთებული) კამპანიას გაუმარჯოს. ვასილს გაუმარჯოს (შეხედავს ვახტანგს) ოჰო, მოდნი კავალერს გაუმარჯოს. (დანასავს კოლიას) აა, ეს ბაღლინჯოების მამასახლისი აქა ყოფილა!

**კოლია.** (მხრებს აწევეთ) მე თქვენ ნებას არ გაძლევთ, რომ ასე ბაგინოთ.

**ვახტანგი.** (იასონს) მე თქვენ გაგისწორდებით.

**იასონი.** (ამოიღებს ლეკურ ჯანჯალს) იქით დაიკარგენით თქვე ტარაკანებო. (კოლია შაშისკენ სტოლქვეშ შეკარდება, მაშაკოს და ვახტანგს გუდი წაუკვეს, ვასილი მთ ბრუნებს, დიმიტრი იასონს ეაზიშინებს, ცრუაძე ფანჯარაში ეკიდებიტ) ქონდრის კაცები, წიწილები დამიწყეთენ ბიდიბობას; ვის ეეიდებით ვის? მე.... მე, იცით ვინა ვარ? ლაწირაკები!..... სულ დაგხვრეტავთ სუყველას. (მდერის) ერი, ერი ერისკენა, კეკელჯან, ჩვენ წავიდეთ ფერმისკენ კეკელჯან. (ჩაჯდება საკარძელში და სიმღერაში ეძინება, კოლია ჩუმთ გამოძვრება სტოლქვეშადან და მიეპარება, მოსურიალებული ვახტანგი და მაშაკოც მიდიან, მთ მისდევს დიმიტრი).

## XV

**ვასილი და იასონი**

**ვასილი.** ბატონებო, როგორ მოგწონთ ამისთანა ამბავი? რომ ჰკითხოთ ყველა საზოგადო მოღვაწეა! ფუ.. დასწყევლოს ღმერთმა პროვინციაც და იქ გაკეთებული საქმეც! ზოგი როლზე გაგებუტება, ზოგს ქალი უყვარს და ვიღაცას წაეჩხუბება, ზოგი აი ასე დათვრება და ჩასკდება, ასტეხავს აურზაურს ერთი სიტყვით ჩემი მუშაობა წყალის ნაყვაა და ნეტი არაფერი.

## XVI

**ვასილი, იასონი და პორფილე**

**პორფილე.** (კულისებში) პიესა მეეიტანე, მარა ახლა თუ კიდო სლუჩია მოხდა ღა ვინმე არ იქნა მოსული, მამა ნუ წამწყდება ერთ ვინცხას მოვბრეგვამ და მერე ანასუნი ჩემ საქმეს! (შეეიდა სცენაზედ ასონს სძინავს და შეოთავს ბაბუა ჯასიდა ბაფეკრეებულდა) იმე, იმე, რეიქნა ინ ხალხი... (ბიერგვარს აწევს) დიდება შენ სახელს უფალო აწი და რავა სლაპიტელი ხომ არავინ დაალეკინა ამ ხალხს?! რავა დარბიან აქეთ იქით (ვასილს) პიესა მოვიტანე ბატონო.

**ვასილი.** დადევი სტოლზედ.

**პორფილე.** სად წევიდენ, ბატონო, აი ხალხი?

**ვასილ.** ნუ მკითხავ, ჩემო პორფილე.

**პორფილე.** რავა, ბატონო სლუჩია მოხდა რამე თუ?

**ვასილი.** ერთი უბედურობა იყო—კინალამ კაცი მოჰკლა.

**პორფილე.** (კეკვარგებული) ვინ ბატონო?!

**ვასილი.** ვინ და შემოვიდა აი ეგ ეოებატონი, (იასონზე) ამოიღო რევოლვერი და კინალამ მოჰკლა ვახტანგი და კოლია.

**პორფილე.** ნუ ლაპარაკობ, ბატონო მართალია თუ?

**ვასილი.** კაცო ერთი უბედურება იყო, ქვეყანამ გიგო და შენ ვერ გიგე?!

**პორფილე.** იმე, გეეგე რა ქვეყნის ტილიფონი კი არ მაკერია ყურზე. სიდან გეეგებდი? მე შენსას ვიყავი და აქანე აი ამბავი მომხდარა. მერე და ვერ მობრიგეთ აი იასონია თუ რაცხა ქადი.

**იასონი.** (ედეიძება და ბორფიალეს უკანასკნელი სიტყვები ესმის) ვინ მობრიგონ ბიეჩ?

**პორფილე.** ვინ და შენ, რავა ღუბენატორი ხარ თუ პროკლოვი, რომ ვერაფერი გაგიბედოთ!

**იასონი.** გაჩუმდი შე ვირო, თვარა ამოგაძრე სული.....

**პორფილე.** ვის ამოაძრობ? რავა, მე ვახტანგი ხომ არა გგონივარ, ან კოლია, ისთე მოგთელო რავაც ნაბადი—ისე ეოცხლოს პორფილემ.

**იასონი.** ხმა, კრინტი თვარა გაგხვრიტე.

**პორფილე.** გამხვრიტე რავა სალდაცკი მიშენია ვარ თუ?

**ვასილი** მოიცა პორფილე, გაჩერდი.

**იასონი** არ გეეკროფ ხმას!

**პორფილე.** იმე, იმე, ნუ ხვარხვალოფ, ყმაწვილო, თვარა წაეგებ! ჩემში მამაჩემ ზალიკას არ უნახავს ხეირი და რავა შენ გგონია გაგატან რამეს თუ?

**იასონი.** (წამოიწევს, რევოლვერისკენ წაიღებს ხელს) მაშ არ გაჩუმდები? (უნდა ესროლოს).

**პორფილე.** (სწრაფად წაეგდების სკამს ხელს და ეარტეკამს იასონს, იასონი წაბარბაცდება და დაეშხობა ბოდ-

ზე, ვასილ ბაბეო ბაბერდება ეგირიდეთ და ოწვეგს სა-შეგდათ დამატრის) არ გაერდება! აგიც შენ, შე ტყეილო პროფეს ი, შენა. (ამ დროს შემოდის ჩრასთაგი, თან მოსდ. ვასტანგი, მაშეო, ეოდია და სტრაფეგები).

**პრისთავი.** დაიპირეთ ორივე ეგ ავაზაკები.

**პორფილე.** Я ничаво, ბატონო, ონ ხოჩიტ სტ ელიტ, ია უდარილ...

**პრისთავი.** შეეკოპეთ ორივე!

(ფარდა ნელა ეშვება)

**გოგია.**

## ბურულის ნაამბოგი.

რაცხას იმისთანას ვიტყვი რომე სიცილით ნა-ყერავზე გაირღვევით ყველა. გამიხდა მამა მძიმე ავათ, კრუსენებდა სულ ერთავათ, დაუმტრია რაცხამ ძვალები, გადანაბა თვალები და ქერში დაიწყო ცქერა. შეეწუხდით შვილები, გადავარდი და მეევ-ყვანე ათასნაირი დოხტურები: წითელი ფერშალი, ყვითელი დოხტური, ლურჯი დოხტური, შეიქნა ამბავი; ზოგმა თქვა—თიაქარიაო, ზოგმა—შავი ქა-რიაო, ზოგმა—ციებაო, ერთმა მკითხა: თუ ატყობ უფრო რას იტკენსო.—რას, როტავ თურეი. მე თუ ვიცოდე შენ რეიზა მოგიყვანდი მეთქი. ბოლაბარაკ-დენ დოხტურები, გამოჩჩეს ყურეფ[illegible] ეულ[illegible] კარ-ში გაით. რიცხა შტუქას ვიზამ[illegible] [illegible] [illegible] [